

- კიდევ ერთი მოადგილე უნდა ავიყვანო უბატში!
- ხომ გყავთ, ვაჩლაშჩი, პირველი და მეორე?
- ბანი გვაკლია!..

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

71  
1971

საქართველო



ნ.ბ. ნ. მაღალაშვილი

№ 8 (1354) აპრილი 1971

**საქართველო**

გამოცემის 48-ე წელი ფასი 20 კპბ.

# „ნიანვის“ საიუბილეო კონკურსის შედეგები



საბჭოთა საქართველოს 50 წლის თავთან დაკავშირებით უშუალოდ „ნიანვის“ რედაქციის მიერ საუკეთესო სატირულ-იუმორისტულ ნაწარმოებებზე გამოცხადებული კონკურსის შიშური პირველი პრემია არავისთვის მიუკუთვნებია.

მეორე პრემია (თითოეული 100 მან.) დაიხსნა ნურბაგ ავთანდილ ადვიშვილმა (ბ. თელავი) პიესისათვის — „ეგოლუცია რევოლუციით“ (ლევინი — „ჯორჯია“), მირიან ლეშავამ (ბ. თბილისი) ფელეტონისათვის — „ჩემი თვლით დანახული ჩემი თავი“ (ლევინი — „შავი და თეთრი“), ნოდარ ზამანაძემ ლექსების ციკლისათვის — „ხმით ნატიქ ლეხი“ (ლევინი — „მოღინახე“).

მესამე პრემია (თითოეული 50 მან.) მიეკუთვნა ნათ ზურაბან გვიგაშვილს (ბ. თბილისი) ფელეტონისათვის — „ეთერშია ურუნალი“ „ხე-

ლოვნება“ (ლევინი — „ხელოვნებათმცოდნე“), იანონ დოლბაიას (ბ. ფოთი) ლექსისათვის — „იმათ, ვინც ხანელს გვიტეხსა“ (ლევინი — „კოლხი“), გურამ კლდიაშვილს (ბ. თბილისი) ფელეტონისათვის — „მშობარა ხარო...“ (ლევინი — „მამადავითი“), ზაქარია შარაზადიშვილს (ბ. თბილისი) ლექსისათვის — „ყრუ - ბრმა - მუნჯი“ (ლევინი — „ახლა მასვა საფარავი“), გრიგოლ ჩიქვილაძეს (ბ. თბილისი) ლექსისათვის — „საკონკურსო ჭაპანწყვეტა“ (ლევინი — „ლორმო“), ვანო ცინცაძეს (ბ. რუსთავი) იუმორისტისათვის — „ორიოდე სიტყვით“ (ლევინი — „კეთილისმეურველი“).

შიშური მიერ დასაბეჭდად რეკომენდებული ნაწარმოებები დროდადრო გამოქვეყნდება რუბრიკით — „საკონკურსო მასალებიდან“.

„უშრნალ“ „ნიანვის“ სარედაქციო კოლეგია.

## ორიოდე სიტყვით

დრამა ძვირფასო ამხანაგებო და უფრო ღრმად პატივცემულო მეგობრებო! ვიცი, ისედაც გადაღლილი ბრძანდებით: ოთხი საათია, ზედიზედ სხედხართ და გადაღლილებოდითაბა, რას იზამდით? ამიტომ, ძალიან პატივცემულო ამხანაგებო, თავს აღარ შეგაწყენთ და ორად ორ სიტყვას მოგახსენებთ, ოღონდ, უმორჩილესად გთხოვთ, გეხვეწებით, გემუდარებით, ყურადღებით მომისმინოთ! მაპატიეთ, მაგრამ მას წინაშე იმითომ გთხოვთ, იმითომ გეხვეწებით და გემუდარებით ასე, რომ, თუ ყურადღებით არ მომისმინეთ, ორიოდე სიტყვით ნათქვამი, შეიძლება, ბევრმა ვერც გაიგოს. ჩვენ კი, ღრმად ძვირფასო ამხანაგებო და უფრო ღრმად პატივცემულო მეგობრებო, იმდენი დრო აღარ დავგრჩა, რომ ვრცელად ვილაპარაკოთ და თუ ჩემი ნათქვამი ყველამ ვერ მოისმინა და გაიგო, მაშინ არაფერი აქვს ჩემს გამოსვლას ამ დიდ ტრიბუნაზე, ისიც ამხელა აუდიტორიის წინაშე? მე არც ერთი წუთითაც კი არა მგონია, თქვენს შორის იყო ისეთი ვინმე, რომელიც ყურადღებით არ მომისმენს. მე თქვენს სასარგებლოდ მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა, მაგრამ ზოგჯერ ხდება ისე, რომ კაცი გამოდის საქმიანი სიტყვით და მას უხალისოდ უსმენენ, მით უმეტეს, თუ საქმიანი სიტყვის შესავალი უინტერესოა. ეს ასეა საერთოდ. ზოგის გამოსვლა დასაწყისშივეა საინტერესო, ზოგი, დაამთავრებს ლაპარაკს და, მერე მოგეწონება, ზოგი კიდევ ერთ საათს ილაპარაკებს და ვერაფერს დაიმახსოვრებ მისი ნათქვამიდან. პირდაპირ უნდა ვითხრათ: არ დაგიმაღავეთ და, ყოფილა შემთხვევა, გამოდის კაცი სიტყვით, ლაპარაკობს, ლაპარაკობს, ლაპარაკობს... უსმენენ კიდევ, მაგრამ შედეგი? რამდენჯერ მიგვიტოვებია მოთხრობა, ან რომანი და არ წაგვიკითხავს ბოლომდე, იმდენი სიკეთე თქვენ! ანდა, გავგიწირავს თავი, ჩავვიმთავრებია და გვიანია: ვაი, რა ტყუილად დავხარჯე ამდენი დრო. შეიძლება, აქ დამსწრეთაგან, ბევრს არც ჩემს მიერ გამოთქმული აზრი მოეწონოს იმ ფრიად მნიშვნელოვან და საყურადღებო საკითხზე, რომელსაც ძალიან მოკლე, სულ რაღაც ორიოდე სიტყვით უნდა შევეხო, მაგრამ დაძალებით მე არავის ვაძალებ, არავის ვეუბნები: „შენი ჭირიმე, გინდა თუ არა, მომისმინე“, ან კიდევ: „გინდა თუ არა, მოიწონე-მეთქი“. მე ვიტყვი მხოლოდ ორ სიტყვას! თუ ნებისყოფას გამოიჩინებ და, მიუხედავად იმისა, რომ ასე სასტიკად გადაღლილ-გადაქანცულნი და საკმაოდ არაქათგამოლეულნი ბრძანდებით, მაინც მომისმინებ, ხომ კარგი, თუ არა და, როგორც ვენებოთ! ეს თქვენს, შეგნებზე, კულტურასა და ზრდილობაზეა დამოკიდებული, ღრმად ძვირფასო და უფრო ღრმად პატივცემულო ამხანაგებო, ანუ იგივე მეგობრებო!

ერთი სიტყვით, სიტყვა რომ არ გამოგრძელებს და, ორიოდე სიტყვის ნაცვლად, ბევრი არ გამომივიდეს ნათქვამი, გეტყვით ძალიან მოკლე და კონკრეტულად, ყოველგვარი შესავლების გარეშე: დრო მქონოდა, კარგი იყო, მაგრამ რას იზამ? ამხანაგებო, მეგობრებო, პატივცემულო საზოგადოებებ! ჩემი აქ, ამ ტრიბუნაზე, გამოსვლის მიზანი, როგორც თავიდან მოგახსენებთ; გახლავთ ის, რომ გულახდილად გამოვთქვა ჩემი შეხედულება იმ საჭირობებზე, მტკივნეულ და პრობლემატურ საკითხზე, რაზედაც დანარჩენმა ამხანაგებმა ასე ღრმად იმსჯელეს... მე ვერაფერს დავუმატებ და მთლიანად ვეთანხმები ჩვენი პატივცემული დირექტორის — გლახუნ ჩალანდაროვიჩის ბრძნულ აზრს!

ვანო ცინცაძე


(„ლევინი — „კეთილისმეურველი“)

ნ. ხ. ნ. ვალაჟონიასი



— ამ ყვავილს ისეთი სუნი აქვს, დაგატრობს.  
— დათრობაზე თუა, მამ ყვავილის ფასად 5 ლიტრ რვა ნომერს ვიყიდი.

ნ. ხ. ბ. ფირცხალავასი



კვტოკროფილაქტიკა კახურად



71

— ეს ერთი მკაცრით, კატონებო მონათლავ, და, კატონანი კატის სიტყვას ბაქლავით, რომ ღვინოს აღარ ღვლავ, არავის გავლახავ, დედას აღარავის შავაგინებ, დანას აღარავის გავუყრი, რვოლვარს ჯიბეში აღარ ჩავიდებ და, როგორც ბატონმა პროკურორმა ბრძანა, მსთეტიკის სემინარებსაც ღვესურებ!

## ჩემი თვალით დანახული ჩემი თავი

„თამბაქოს არ ვეწვი. თუ ავიღებთ, საშუალოდ, „თბილისის“ მარკის სიგარეტს, რომელიც 18 კაბიკი ღირს და 20 კაბიკობაზე ვიანგარიშებთ, რადგან თავის ფასად ვინ გიყი მოგყიდის, ხოლო დღეში, სულ ცოტა, ერთი კოლოფი მაინც დამჭირდება, გამოდის: 20 კაბიკი X 30 დღეზე = 600 კაბიკს. ეს კი სულ 6 მანეთია. ამრიგად, თვეში სრულიად უმეტყვეულოდ 6 მანეთის დანახოვი მრჩება.

**ღვინოს არ ვსვამ.** თუ დღეში, საშუალოდ, კაცს ერთი ლიტრი ღვინო უნდა, ხოლო ლიტრს, მინიმუმ, ერთ მანეთად ვიგულისხმებთ, აქაც თვეში 30 მანეთის ეკონომია გამოდის.

**რესტორანში არ დავდივარ.** თუ თვეში ერთხელ რომელიმე ძმაკაცი ამიკიდებს, ან მე თვითონ ავეკიდები, თქვენც კარგად იცით, რომელ რესტორანშიაც არ უნდა შეხვიდეთ, ერთი ადამიანი, ერთი საათით, საშუალოდ 10 მანეთი ჯდება, — ესეც შენი 10 მანეთის ეკონომია.

**წვერს სახლში ვიპარსავ.** თუ არ გინდა, რომ პარიკმახერმა ცოცხალი და მკვდარი გადმოგიბრუნოს, ხოლო ეს არავის უნდა, წვერის გაპარსებაში ერთი მანეთი უნდა გადაიხადო, რადგან წვერს ყოველდღე ვიპარსავ, თვეში 30 მანეთის ეკონომიას აქედანაც ვაკეთებ.

**აბანოს საერთო განყოფილებაში შევდივარ.** საერთო განყოფილება 17 კაბიკი ღირს. ზურგს თვითონ ვიხეხავ და იოლად გამოვდივარ. დაუწერელი კანონის რომელიღაც მუხლის თანახმად, მექისეზე მისაცემი ერთი მანეთიც შემომენახა. არც მეგარადერობეს ვაძლევ ზოგიერთივით, წასახალისებლად, 20 კაბიკს.

რისთვის, თორემ კი? პირიქით, სანამ შენი რიგი მოვიდოდეს, ნერვებზე მოგშლის და გულს გაგიხეთქს: როგორც წესი, შენს ცხვირწინ, ყოველ ნახევარ საათში, 3-4 კაცს ურიგოდ და უბილეთოდ ვაუშვებს. ამრიგად, 1 მანეთი და 20 კაბიკი უკვე გადავარჩინე. რადგან აბანოში თვეში ოთხჯერ დავდივარ, 4-ჯერ 1 მან. და 20 კაბ. სულ 4 მან. და 80 კაბ. ეკონომიას მაძლევს.

**ტრანსპორტზე ძალიან ფრთხილად ვარ.** იქ, სადაც ტრამვაის ხაზია, არავითარ შემთხვევაში სხვა ტრანსპორტში არ ჩავჯდები, რადგან ტრამვაი 3 კაბ. ღირს. თუ ტრამვაი არ არის, მაშინ ტროლეიბუსს ვარჩევ. ეს უკვე ერთი კაბიკით მეტი ღირს. თუ არც ტროლეიბუსია, მაშინ სხვა რა გზაა? ავტობუსით, ან მეტროთი უნდა ვიმგზავრო, რაც უკვე 5 კაბიკი ჯდება. ფეხით სიარული გაცილებით საზარალოა, რადგან, ჯერ ერთი, იმპორტული ფეხსაცმელი ცვდება, მეორეც, ფეხით სიარულის დროს, რაც არა ერთხელ მომსვლია, ჩვეულებრივზე უფრო მეტად მომწვივება და კალორიების აღდგენა გაცილებით მეტი დამჯდომია. ტრანსპორტზე როცა ჩამოვარდა ლაპარაკი, აქ, რასაკვირველია, კაბიკები იგულისხმება, მაგრამ ზომ არ დავავიწყდათ, რომ მანეთები კაბიკებისაგან შედგება? თუ დღეში საშუალოდ, ოთხჯერ ვისარგებლე ტრანსპორტით, 4 კაბ. ეკონომიას ვაკეთებ, თუ ამას გადავიყვან 30 დღეზე, თვეში 1 მან. და 20 კაბ. ეკონომია გამოდის.

**სადამოთი კინოში დავდივარ.** მართალია, ისე ერთი შეხედვით, ბილეთში 45 კაბიკს ვაძლევ, მაგრამ სინამდვილეში

ესთეტიკური სიამოვნების მიღება გაცილებით ნაკლები მიჯდება და აი, რატომ: კინოთეატრში მთელი ორი საათი ვზივარ და, ამ ხნის განმავლობაში, ბინახომ გამოკეტილი მაქვს? მამასადაბე სონათლევ გამორთულია. საათში ხუთჯერ თლე 4 კაბიკს წვევს, ხოლო მე კინოში ორი საათი ვზივარ, სრულიად უბრალოდ და თავშეუწუხებლად 8 კაბიკი ეკონომია გამოვიდა. გარდა ამისა, ერთი საათი მისვლა-მოსვლას სჭირდება. აქ ფეხით გასეირნებას ვგულისხმობ. მაშასადამე, კიდეც ერთი 4 კაბიკი და სულ — 12 კაბიკი. გზაში ბორჯომის წყალი დავლიე და არა ლალიძის. რადგან ბორჯომის წყალი ლალიძის წყალზე ერთი კაბიკით ნაკლები ღირს, აქაც ერთი კაბიკი მოვიგე და სულ 13 კაბიკი ეკონომია გამომივიდა. ამრიგად, კინოს ბილეთში გადახდილი 45 კაბ.— 13 კაბ.= 32 კაბიკს. ე.ი. კინოს ბილეთი, ფაქტიურად 32 კაბიკი დაჯდა. თუ კინოთეატრში, საშუალოდ, კვირაში ერთხელ წავედი და 13 კაბიკი ეკონომია გავაკეთე, 4-ჯერ 13 კაბიკი — ესეც შენი კაი 52 კაბიკის ეკონომია თვეში.

**გზაში რომ მოვდივარ,** ზედაც არ ვუყურებ ქუჩაში გამოფენილ თმაწვერულ-ვაშაბურძენილ ქორვაჭრებს. მათ მიერ აწონილი და მათი ხელიდან აღებულ არც ვაშლი მინდა, არც ატამი, არც ყურძენი და არც მანდარინი. ის მიკვირს მხოლოდ და ვერ გამიგია, ამ ოქრო ხილს მათ ჭეჭყყადა ხელეში რა უნდა. ყველაზე მეტად მოტყუებას ვერ ვიტან და ყველაზე უტიფრად და თავგულურად სწორედ ისინი იტყუებიან წონაშია და ხურდაშია. კარგი ბიჭი ხარ და, სიტყვა შეუბრუნე! — კიდეც გამოგლანძღავენ და ვალსაც აქეთ დაგაღებენ. თვეში თუ სამჯერ ავციდი ოქრო ხილის ცდუნებას, სულ ცოტა 5 მანეთის ეკონომია მაინც ნაღდი მაქვს.

**ფულს არ ვესხსულობ.** ნასესხები ფულით როგორ უნდა ვიყილო რამე? მე მგონი, ფული თუ არ გაქვს, ეს სავსებით საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ, რაც უნდა მოგწონდეს, რაც უნდა იყოს, თავი შეიკავო და არ იყილო!

**მაშ, ასე, მივყვით:**

თამბაქო	6 მან.
ღვინო	30 მან.
რესტორანი	10 მან.
პარიკმახერი	30 მან.
აბანო	4 მან.
ტრანსპორტი	1 მან. და 20 კაბ.
სადამო	0 მან. და 52 კაბ.
ქორვაჭრები	5 მან.
სულ თვიური ეკონომია	86 მან. და 72 კაბ.

**ამრიგად, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ჩემი თვიური ხელფასი 125 მანეთია, ხოლო ყოველთვიურად კიდეც 86 მან. და 72 კაბ. დანახოვს ვაკეთებ, მაშინ 125 მან.— 86 მან. და 72 კაბ. სულ 211 მან. და 72 კაბ. გამოდის.**

ასე რომ, ზოგიერთივით ტყუილად კი არ მახურავს თავზე ქუთი, თავი მართლაც ქუდში მაქვს!

ჩიბის ეკონომიურ მეტნიერებათა ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი მუშაკი.

**მირიან ლეჟავა**  
(ღვეიზი — „შავი და თეთრი“)


# ეთერეისა ქერნაჲი „ხელოვნება“

ნან. მ. აბაშიძისა



— ასე თუ წავიდა ჩვენი წარმების საქმე ახალ ხუთწლიელში, ანუ ბათ, ჰერის აწვევ მოგვიწევს.

ნან. ნ. მანუჩიანისა



უსიტყვოდ

ტელევიზორის დიქტორმა მიზნდელი თვალბით ისე სანდობიანად გამიღიმა, ცალი რომ გვერდით ან ბრძანებულებით, ნამდვილად უკანს ვაკოტბდი.

„ძვირფასო მეგობრებო! დღეს ჩვენთან სტუდიაშია ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, — თურმე მცენერებათა დოქტორი ენამე ოქრობირიძე, რომელიც წესდებრებათ ხელოვნების ზოგიერთ ახალ ნიმუშზე. გთხოვთ, ქალბატონო ენამე!“

„ბერიოდი, რომელზედაც მე მსურს გესაუბროთ, თავისთავად მეტად საინტერესოა. თუმცა შეიძლება გამოხატოს დაცა ჩაითვალოს, მაგრამ აუცილებელია მათი საფუძვლიანი შესწავლა და სააშკარაოზე გამოტანა. მამ, ასე: ამ ტილოზე თქვენ ხედავთ პერიოდისთვის დამახასიათებელ გადაცემებულ ადამიანის ყოველგვარ იდუაღისაქის მოკლებულ პორტრეტს. აქ შეიმჩნევა არქაიზმის უღემენტბიც. კომპოზიცია ასეთია: ნათლად გამოკვეთილი ფიგურა, რომელსაც კომპინატორი ეწოდება, სურათზე ფულს მალავს ორმოში. სიუჟეტი ნაკარნახევი კომპოზიციით. წინა პლანზე ხედავთ მოსვრილ, მოქნილ, თუმცა დაუკოტრებულ ხელებს, რომლებიც „ფულს აკეთებენ“. უკანა პლანს ცვლის მუქი ფერის ფონი. ჩანს კვალბი, რომელიც ჩაბნელებულ, მუქ ფერებში გულდაგულ იკარგება. (არ არის სასურველი, ვინმემ დაინახოს!) მხატვარი თითქოს მიმართავს ალგორითულ ხერხს, მაგრამ, მეორე მხრივ, საკუთარი აგარაკის წინ, ზაზის თალარით გადახურულ „საზაფხულო“ გარაქში ჩანს სხვადასხვა რაკურსში შემობრუნებული „ვოლგისა“ და „მოსკვირის“ სილუეტები. ტილო საინტერესოა, მაგრამ მხატვარი მაინც გულუბრყვილო განწყობისა. აშკარაა, სიუჟეტმა დაინტერესა იგი, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ ხსნის ჩანაფიქრს, თუმცა ამისი სურვილი აქვს. მას აქვს მიგნებული ერთობ საინტერესო დეტალები, მაგრამ ვერ აღრმავევს მათ. ეს, შესაძლოა, ეპოქის რუალური შეგრძნებით აისხნება.“

მომსენებელმა შემდეგი ტილო მიუშარჯვა ტელეპარატის ობიექტებს.

„ეს სურათი საინტერესოა აგებით. სივრცისა და, განსაკუთრებით, მომავლის გააზრებით. თქვენ ხედავთ ოჯახის ტიპურ ინტერიერს. აშკარაა, ოჯახის პატრონი გატაცებულია ანტიკარული კოლორიტის ძიებით. საინტერესოაა გადამოცემული დეტალები: ძვირფასი ხვეული ხის ავეჯი, ნოხები — „ქაშანი“, ფაიფური — „საქსა“, მომეტებული ოქრო და ვერცხლი, სადაფის ფერთა ქღერადობა. ჭარბობს ძოწის ფერებიც. საინტერესოა თვით მფლობელის ხასიათის გახსნა. მხატვარს, ამ მიზნით, მოთვით, მონაცრისფრო ტილოთი გადაფარებული ავეჯი ვამოაქვს წინა პლანზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგ ავეჯს შალითა ალაგ-ალაგ გადაცლილი აქვს. მფლობელი ერთგვარ გარდამავალ პერიოდშია. კომპოზიცია, ერთი შეხედვით, შეიძლება გადატვირთული გერგვით: უამრავი ავეჯი, ჩახერგილი ოთახები, მაგრამ ეს სირთულეს არ ჰქმნის, რადგან მფლობელი არც მათ იყენებს და არც უამრავ ოთახს. იყენებს მხოლოდ შედარებით ვიწრო სამზარეულოს. ძლიერ საინტერესოა დეტალების გადამოცემის მანერა: ბაკანში ჩაყრილი დაურეცხავი ჭურჭული, კუთხეში ნაგვით გაპიპინებული ვედრო, უწესრიგოდ დაყრილი, და-

ნამცეცხელი პური, დაჭმეწილი „კლიონკა“, თეფშე დაძველებული ყველის პატარა ნაჭერი, რომელსაც თავისთავად დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს. ყველაფერი ეს ცოც, გაცრეცილ ტონებშია გადმოცემული და მეტად უსუსტადაა დაკავშირებული მფლობელის სულიერ სამყაროსთან. მხატვარი აქ ასიმეტრიის სიმბოლურ ხერხს მიმართავს. ტილოზე მონუმენტური ფიგურებია, ოჯახის უფროსი დიდი კაცია. ქალისა და კაცის ეს შეწყვილებული პორტრეტები ძუნწი, მაგრამ უდიდესი ძალის მატარებელია.

გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე ფულის თაყვანისცემის სურები. აქ მხატვრის არტიზმი რეალობის ფარგლებს ვერ აღწევს თავს. ყოველი კომპოზიცია ფულის თაყვანისცემისა, ტონალობით ურთიერთშეთანხმებულა ყველა ნიუანსში და დაკავშირებულია მინიმუმ ორ ან მეტ ფიგურასთან. მხატვარი განუზოგადებელი მანერით, დიდი ძალითა და სისუსტით გადმოგვცემს ფულის თაყვანისცემის მრავალმხრივი შემოქმედებითი და სუბიექტური შტრისებით სავე ევოლუციას. თქვენს წინაშეა ე. წ. „ამღების“ ფიგურა. იგი ცენტრალურ ადგილას დგას. შესამჩნევია მისი მყარი, მდგრადი პოზიცია. ორივე ფეხზე მაგრად დგას. მარცხენა ფიგურა („ლევია“) გამოირჩევა მოჩვენებითი, გაუბედავი არტიზმით, რაც მთლიან კომპოზიციას მდიდარ რიტუალურ ქღერადობას სძენს. იგი მორიდებით უდგას ფულით გატენილ პაკეტს პერსონაჟს წინა პლანზე გამოწვეულ ჯიბეში. აღსანიშნავია პაკეტის პლასტიკური, გაბერილი ფორმა და არა ფულის რიცხობრიობა, თუმცა ასმანეთიანების კუთხეები დაუდევრად ჩანს (შესაძლოა, ეს თემა ისედაც იქნეს გაგებული, რომ მარცხენა ფიგურა „პაკეტს უგდებს“ „ამღებს“. სრულიად შესაძლებელია).


ბრწყინვალე კომპოზიციური პრინციპებია მეორე სერიაში. აქ თქვენ ხედავთ უფრო ინტელექტუალური გამომეტყველების ფიგურას — სათვალთა და გაურკვეველი ინსტრუმენტით ხელში. იგი ძალიან წააგავს მუდმივ კალმისტარს, ან დასტაქრის ლანცეტს. აქ მგლავნდება მხატვრის უბადლო ოსტატობა. სპეტაკი შუბლი მიუთითებს, რომ ამ ნათელი სახის ადამიანს მეცნიერებასთან და უმაღლეს სასწავლებლებთან უნდა ჰქონდეს საქმე და... უკებ შეიმჩნევა თვალბში მიჩქმალული ანგარების ნაპერწკალი, რაც პერსონაჟის მთლიან შინაგან რიტმულ მოძრაობას ჰქმნის. ერთი შეხედვით მაღალი იდეალებით შეპყრობილი პერსონაჟი არ არის შორს ყოველდღიური ცხოვრებისაგან. იგი უფრო მიწიერია. მიწიერია აგრეთვე მიწას გართხმული თვალბდაჭყეტლი, მოღვეენერატო აბითურციენტისა და ცხვირმოჭრილი პაციენტის ფიგურები...“

ტელევიზორში უკებ რაღაცამ გაიტაკაცუნა, მოციმიმე გვრანმა ერთი-ორჯერ გაიელვა და ჩაქრა.

— რა არის, ქალო, ეს? — შემოფწყერი ცოლს, — გუშინწინ არ იყო აქ ხელოსანი?

— გუშინწინ რომ იყო, მიგეცა ორი-სამი მანეთი. ზედმეტი და გაგიკეთებდა მაგ ტელევიზორს ადამიანურად.

ჯურდან გიმაზაზვილი  
(დევიზი — „ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა თ მ ც ო ღ ნ ე“)



იასონ დოლბაია (დევიზი — „კოლხისი“)

მიწას გაუთბა ძვალ-რბილი,  
მდელოს ამოსვლა უცდია,  
სახნისს ლესავენ კაცები,  
ხარები უდელს უცდიან...  
შენ კი სადა ხარ, სევასგი,  
ან — შენი ცოლი ცუცქია?  
ეგება, სენი რამე გჭირს,  
ვერ გხედავთ ავადმყოფულსა?  
ეჰ, ყველა ფიქრი ფუჭია! —  
გამოპარვიხართ სოფელსა...  
მოსკოვ-ქალაქის მეტროსთან  
-წამომართულხარ დევკაცი...  
(ენაც სათქმელად მუნჯია)  
და იმ კოგიგა თითებში  
ყვავილი ჩაგობლუჯია.  
„ც ვ ვ ი ი!“ — ბურუნებ ხარივით,  
„კ უ პ ი გ ე!“ — ენავის ცუცქია,  
ხუთ-ხუთ მანეთად ასადებთ  
ყვავილს — ორიოდფურცლიანს!...

„აშენ-გაკეთებამ“ თავგზა აგინიათ,  
ფულზე გაგიცვლიათ ერის გრადიცია,  
იოლი გზით „შრომას“, „ძრომას“ რომ  
ისახავთ,  
რაგომ გავიწყდებათ, ვისი გორისა ხართ?!

ლენინგრადს გაველ, არც იქა მომაკლდა დანანებანი:  
რუსულ ანბანზე ააწყო ვილაცამ „ს ლ ი ვ ი ს“ ქებანი.  
თან გაჰკიოდა: „გ ა ხ ლ ა ვ ა რ თ კ ა ვ კ ა ს ი ე ლ ი ჯ ე მ ა ლ ი“.  
სირცხვილისაგან იწვიოდა ჯერ კიდევ მკვანხ გყვამალი.

ელიზბარავ დან როსგომავ, როგორ მონახეთ კოსტრომა? „ჭკაჭკა“ მიათრევთ ჭკვავითა, მიგორავთ ღვინის კასრითა. ცოლ-შვილს დეპეშა მიეციეთ: „მოვგრიალდებით „ვოლგითა“, გამართეთ კოსტა „გარაჟი“, საბძელი მიდგი-მოდგითა, ვაჭრობა ისე მიგივინს, მგონი, ავშენდით მოდგმითა“. რათ ვერა ხედავთ, ჯეულნო, შორს ვედარ წახვალთ მაგ „სვლ ვინ გააპაგიბთ, შვილოსა, სახელს რომ გვიგებთ და გვცვრი...

# საკონკურსო ჭკანფუხეტი

როგორც კი ლექსში პრესაში  
კონკურსი გამოცხადდება,  
იმ დღიდან მთელი თვალი  
დოგადოგაზე მადგება:

დიდიან პატარინად  
დამესვრიან განგაშით,  
ვინ ქალაქისა მხრის ვინ კალამს,  
ვინ ჭკანფუხეტი ქარქაშით“.

მიშველეთ! ხალხი არა ხართ?  
ძალადა მსგავსე საწირად,  
შვილი მთხოვს, სიღვდრი მწყველის,  
ცოლი მოიწვევს საცემად!

„დაწერე! აბა, კალამი!  
ეს სკამი, ესეც მაგიდა!  
რაც შეგვიძლია, ხელს გიწყობთ,  
მეტი რა შავი ქვა გინდა?!

შენც გაანძრიე ეგ ტვინი,  
იფიქრე რამე თემაზე!  
ქვეყანა წერს და შენ რა ხარ,  
რად უნდა იჯდე ტყემაღზე?!

დაწერე!“ —  
აბა, ნუ დაწერ,  
როცა ბრძანებენ „მალიდან“.  
სად წახვალ, სად გაიქცევი,  
ან ვინ გაგიშვებს სახლიდან?!

ვზივარ და მიც „გწერ“, „ვხლაფორთობ“  
ერთ წერტილს მიცივებული,  
ხანდახან სამი დღე ვფიქრობ,  
შუბლზე თითმიჭირებული.

ალარც სმა მახსოვს, არც — ჭამა  
და არც არავინ მაძალეებს,  
ნიკნები მიჩანს გარედან,  
ნაშიმშილეებს და ნაწამებს.

უძილო, უსმელო-უჭმელო  
ცივ წყალს გაკვდები ხელივით  
დროდარო ფეხზე ვიძინებ  
ნათლიაჩემის ცხენივით.

ბურანში მესმის ხანდახან,  
როგორ „ზრუნავენ“ ჩემზედა:

„ვაჭამოთ რამე ამ საწყალს,  
არ შემოგვაკვდეს ხელზედა!“

„დავაძილქუშოთ და მერე  
იქნება, რამეს გცადოს!“

„ვინ იცის, იქნებ სიზმარში  
მუხაც ქე გამოეცხადოს!“

„დავთროთ, იქნებ ნასვამმა  
უფრო შეიძლოს დაწერა!“

„რას ამბობთ? ღვინო რად უნდა,  
საცაა, თვითონ დაწვება!“

წინასწარ ინაწილებენ  
„ჰონორარსა“ და „პრემიას“,  
ბოლო არ უჩანს ჩემს სახლში  
„ჩემია-არაჩემიას“.


გოგო გრძელ ჩექმებს უმიზნებს,  
მეუღლე — მაქსი-კაბასა,  
სიღვდრი „ჩემი პრემიით“  
ჩემს ქვისლს „უკერავს“ საბანსა.

ნამდვილად გამაგიჟებენ,  
ფერი დამედო ქალაქის,  
ასე რომ დიდხანს გაგრძელდეს,  
მერე „გუდ-ბაი!“ — ნასვამდის!

ეს რომ ჟიურიმ იცოდეს,  
მიშველის ნერვებმოშლილსა,  
ალბათ, ერთ-ერთი პრემიით  
დამიჯილდოებს ცოლ-შვილსა.

### გრიგოლ ჩიქვილაძე

(ღვევი — „ლორგო“)



— მეგობრებო! მე იმიტომ კი არ ვსვამ ხუხოვიჩის სადღეგრძელოს, რომ მას ქალაქში ორი საკუთარი სახლი აქვს, შავი ზღვის პირას და წოდორეთში — ოთხთახიანი კოტეჯები (დასასვენებელ სახლებში საგზურებს ჩვენც ვიღებთ), იმიტომ კი არ მინდა ვადღეგრძელო, რომ მას ერთი მის სახელზე და ორი სიღვდრ-ცოლისდაზე გაფორმებული მანქანა ემსახურება, არც იმიტომ ვსვამ მის სადღეგრძელოს, რომ მის სახლებში თავმოყრილი ოქრო, ვერცხლი, ფაიფური და ქაშანური ფასდაუდებელი განძია, მე მინდა ხუხოვიჩი ვადღეგრძელო მისი ადამიანური, უანგარო, პატიოსანი შრომისათვის, მისი კაცური კაცობისათვის!

ხან მანდარინის ყუთებით,  
გულაბით — ცვარდანამულით,  
ხან ხურმით სავსე გოდრებით  
და ენით, მიმოქარგულით,  
თვეობითა ხარ, ხარიგონ,  
„რუსეთში“ მიმოქარგული.  
რა გახდა, კაცო, ასეთი  
შენი ეზო და მამული —  
„მოსავალს“ ბოლო არ უჩანს,  
რა ნაგვრის ხე გაქვს დარგული?

„გვირგვინოსანო“ ილია,  
ქვეყანა შემოგივლია.  
დაფნის ფოთოლი გამხმარი  
დახლზე კარგივით გიწყვიან,  
დათვის ქურჭიდან შავგრუზა  
თმა-წვერი გამოგიყვია.  
შენზე, თუ არა „ლავრუშკას“,  
სხვა რა კარგ სახელს იგყვიან?  
იგყვიან, გულზე გესობა,  
თვალს კარკლავ, როგორც მიმინო...  
მისთვის ჩახვედი სახალისს,  
რომ აქ მამული გვიგინო?!

გადამყიდველო ვასასი,  
„გუმი“ და „ცუმი“ შენია!  
ყველგან ურიგოდ მიძვრები,  
ვინ „გკადრებს“: „არა გრცხვენიათ?!“  
გირგყამენ, თან მოგაძინან:  
„ბოდიში, სომ არ გგკენიათ?“  
ხალხს მიმოაპობ ნავაჭრით,  
თავს გადაეც გვირთის სოხოლა,  
ისე იქცევი, შე ქალო,  
მიჭირს სირცხვილით მოყოლა!  
„გაკეთიდი“ მადლი უფალსა!  
შენს ვაგონს ხვავი, მშვიდობა!  
აღარ გეტევა „ბარგანა“?  
ნოე გათხოვებს კიდობანს!

„არაგვს“ ეწვევი, გერენგი,  
როს საქმოსნობას მორჩები.  
გინდა დალოცო ბროლითა  
დედ-მამა, ცოლი, ნორჩები...  
უდღეგრძელები არ გრჩება,  
არ გავიწყდება ქართველი.  
ამბობ: „გამრავლდენ ერეკლეს  
და სააკაძის მართვენნი!“  
მამულის პატივსაცემად

შენ უკვეთ „ციცინათელას“...  
ის კი არ იცი, მის სახელს  
რა ადიდებს და რა ჰქვლავს!

P. S. სასოფლო საბჭოს ზოგიერთ  
თავმჯდომარეს

სოფსაბჭოს თავმჯდომარე ხარ,  
ძმაო, მოუგე ცნობასა,  
შოთი პურივით რომ უცხობ  
ამ ხალხს ათასგვარ ცნობას!  
ე, რა საეჭვოდ ავშლია  
გიალი „ცნობომანია“?  
ბარემ „რუსეთში“ მოვაწყობ  
თესვის და მკის კომპანია!  
მე იმას კი არ გახადლი,  
„ჯაფით“ რომ ოდნურ დამრგვალდი.  
არ გაცვდეს მრგვალს ბეჭელი,  
მომჭირნედ ხარჯე ქალაქი!

„აშენ-გაკეთებამ“ თავზე აგინიანთ,  
ფულზე გაბიძვლიათ ვრის გრადიცია,  
იოლი გზით ურიგის ცნობას რომ  
ისახავთ,  
ნუ დაგავიწყდებათ, ვისი გარისა ხართ!

# მშინარა ხარო

ყური მოგვარი ჩემზე უთქვამთ, მშინარააო...

გამწარებელი გავქვანე ზოთპარკისაჲ გელთაში გამომწყვდეულ ვეფხვს შიშველ ხელისგულზე დადებულ სისხლიანი ხორცი გავუწოდე. ხალხი თვალმომადმოცენილი, გატრული შესქეროდა ამ სურათს. მერე ერთბაშად ამოიგმინეს, გადარჩათ...

მე კი მოგვარი აღდი, ხელისგული ცხვირსასოცზე შევიწმინდე, იქვე გვერდით გალომებულ სპილოს თვალი ჩავუკარი და, ვითომ არაფერი, ზოთპარკის ესოდან მშვიდი ნაბიჯებით გავედი. სანამ მივიმალბოდი, გაოცებული ხალხი ჩემკენ ათითებდა...

მე ვარ მშინარა?!

\* \* \*

ხიდზე დაფიქრებული მივიდი. უცბად ქალების კვილიმა გამომაფხიზლა.

ჩემგან ორმოცდაათ ნაბიჯზე, ხიდის მოაჯირს რამდენიმე მანდილოსანი მკერდით მიბჯნოდა და მდინარეს გადაჰყურებდა.

მივირბინე. ვილაც იხრჩობოდა...

მივიხედ-მოვიხედე, ჩემს მეტი მამაკაცი არ ჭაჭანებდა.

ქალებმა ერთმანეთს რაღაც გადაუკურკურეს და მე ჩამიკაკუნეს: ეტყობა, მშინარაა, თორემ როგორ არ ხტება წყალშიო.

თითქოს ყინული ჩამიცურეს საყელოში, ისე იმოქმედა მშინარას სსენებამ.

მოუფიქრებლად, ჩემდა უნებურად ვისკუპე.

...მერე აღარაფერი მახსოვს. თვალები რომ გავახილვე, გავიგონე: თურმე ორივენი ვილაცას გადავურჩენივართ.

მე ვარ მშინარა?!

\* \* \*

დირექტორმა სიტყვის შებრუნებისთვის სასტიკი საყვედური გამომიცხადა.

ბრძანება მდივანმა გადაბეჭდა და გამაცნო. როცა ოთახიდან გამოვდიოდი, ჩემს გასაგონად ჩაილაპარაკა,

მშინარა ყოფილხარ, ეს როგორ აპატიეო

მეგონა, სისხლი ტვინზე გადამიარდა...

გიჟივით შევვარდი ოთახში, გადმოვატრიალე უჯრები, მერე გავიქეცი სახლში, მთლად გადავაქოთე ყველაფერი, მაგრამ ვერ ვიპოვე... მომაგონდა, რომ სტამბაში ამხანაგი მყავდა. შევეხვეწე და ყველაზე კარგი ხარისხის მომცა. სულმოუთქმელად დაგებრუნდი სამსახურში და იქვე, მდივანის თვალწინ... დავეწერე განცხადება სამსახურიდან გათავისუფლებაზე.

მდივანმა გაოცებით შემომხედა: სად იყავი, ამდენი რისთვის ირბინეო?

ამას წინათაც დავეწერე განცხადება, მაგრამ ცუდ ქალღმერთს მიწერა და ტყავი გამაძრო-მეთქი, ვუთხარი და განცხადება ამაყად გადავეცი მდივანს.

ფუთო, თქვა მდივანმა და დირექტორს შეეუტანა.

დირექტორმა დახედა თუ არა განცხადებას, დაუძახა კადრებს, მთავარ ბუღალტერს და მეორე დღეს ჩემი შტატი გაუქმდა...

კიდევ იტყვიან ჩემზე, მშინარააო?

რომელი მშინარა გაბედავს სამსახურიდან გათავისუფლების განცხადება საკუთარი ხელით რომ დაწეროს?

ისე, დირექტორი ნამეტანი გაფუჭებული კაცია. ამბობენ, ვილაც ავტორიტეტი მფარველობსო, თორემ ყველამ იცის, მეოთხე ცოლი რომ ჰყავს, ლოთი, კარტოჟნიკი და სულწასული მექრთამე რომ არის, მაგრამ უბატონოდ ხმას ვერაგინ სცემს.

თქვენ არ იფიქროთ, მეშინია და ამიტომ არ ვახსენებ მის გვარს!

გვარსაც დავეწერდი, სახელსაც, მამის სახელსაც, მისამართსაც და მეტსაც ვიზამდი, მაგრამ მეშინია, ჟიურიმ კონკურსიდან არ მომხსნას ვინაობის გამომჟღავნებისათვის.

აი, ერთადერთი შემთხვევა, როცა ვინმესი მეშინია.

ისე, ხალხს რომ აყვე, გადაგრევის!..

გურამ კლიაშვილი  
(ღვივი — მამადავითი“)



მეულის კორტრეტი

# ყალბი-გამა-მეუბნი

სურდათ ღვინის ჭაშნიკი, მოკრძოლებით მომეწოდეს: მოჭანგული „მაქარა“ მარახოში მოგნათლევ.

ლოქოს, მქისედ სუნდაკრულს, ასაღებდნენ დლით, მზეზე, დასტურისთვის მომადგნენ: სურდო მოვიმიზებე.

ვიცი წამხლარ ქრთამოსანს საქმემ როგორ უჯობა, როცა მკითხეს, გავმტერდი: მოვიგონე მუნჯობა.

„ვოლგამ“ ქალი გასრისა, ვიცან ვინცა მართავდა, მოწმედ მიხმეს, გავკვირდი: ბრმა ვარ, მორჩა, გათავდა!..

მომესმოდა — კაცს კლავდნენ, განწირული ყმუოდა, როცა მკითხეს, გავლენიდი: მოვიგონე ყრუობა...

მოდით, მნახეთ, ვინა ვარ, რომელი მყავს ბადალი?! ყრუც ვარ, ბრმაც ვარ, მუნჯიც ვარ, თუ დამჭირდა — აბდალიც!..

ზაქარია შერაზადიშვილი  
(ღვივი — „ახლა მახვანაფერავი“)

# ს მ ი თ ნ ა ტ ი რ ლ ე ბ ი

სმით ნატორლები მიცვალბულთა  
დასატორებელი ლექსებია. ზოგჯერ  
ცოცხლებსაც დასტირიან. გავცდით  
რამდენიმე ნიმუშს:

## ნ ა ტ ი რ ა ლ ი გ ა ყ რ ი ლ ც ო ლ - ქ მ ა რ ზ ე


ვაი, რა იმედით გაქორწინეთ,  
რა ლხინით, რა ღვინით, რა ხალხით!  
გისურვებ უქრობი სიყვარული  
და ბედნიერება მარადისი!

ოდა-სახლს ავხადებ ლამის ჭერი,  
იყო ტაშ-ფანდური, ჰაი, ჰუი...  
დღეს გული სიბრყვივით დაგვიჭერით,  
რატომ გაიყარეთ! ვაი, უი!..

ვაი, დედა, დედა, ეს რა ჰქენით,  
როგორ დაანგრეთ კედელ-კუთხე!  
პირველ აკვნის რწევას უღალატეთ,  
პირველ მღელვარებას მიაფურთხეთ.

ერთურთს უკოცნიდით ხელისგულებს,  
ერთხანს სიყვარულით მკლავი შალეთ;  
სულ მცირე რამეზე გადირიეთ,  
სულ მცირე რამეზე შეიშალეთ.

ლხინის წილ ნაღველი იწილადეთ  
და გადაიბრუნეთ ზღვაში ნავი.  
სიკვდილამდე მოკვდით, სიკვდილამდე...  
ვაი, ეს რა ჰქენით! ვაი, ვაი!..



## ნ ა ტ ი რ ა ლ ი მ ა თ ე ბ ე , ვ ი ს ა ც ბ ა ვ ე რ ი

### შ ვ ი ლ ი ა რ უ ნ დ ა

ჰოი, უთვალავი გინდათ ფული,  
ავეჩულობა მოდისანი;  
„ნორკის“ ქურჭი გინდათ სამი, ოთხი...  
ბინაც, აგარაკიც — ორი, სამი...

ჰოი, და, და, და, რასაც ხედავთ,  
გინდათ ყველაფერი, გინდათ თქვენთვის;  
გინდათ ყველაფერი, ბევრი გინდათ,  
შვილი ერთი გინდათ, მხოლოდ ერთი!

აკვნის სიმღერები გეზარებათ,  
ქურჩის სიმღერები გახალისებთ;  
ოდონდაც იმგზავროთ, ისეირნოთ,  
თუგინდ დღესვე წახვალთ სახლიწვეც.

ბევრი დროსტარება, ბევრი ლხინი,  
მკერდი სალალობოდ გადაშლილი!  
გინდათ ყველაფერი, ბევრი გინდათ,  
შვილი ერთი გინდათ — არაშვილი!  
... ვაი, ერთო შვილო! ვაი, ვაი!..



## დ ე დ ის ნ ა ტ ი რ ა ლ ი პ ა ტ ი მ ა რ შ ვ ი ლ ზ ე

მზეო, დაგვიანდი, ჯერ ნუ ჩახვალ! —  
შვილს მამშვიდობებენ, ველარ ვნახავ.  
სანამ დაგიჭერდნენ, შვილო ჩემო,  
დედა მოგეკლა და დაგემარხა!

ვაი, რად მომხადე თავსაფარი,  
ჩემი სადარდელი ვის შეეჩვილო?  
ქრთამზე წაგასწრეს და დაგიჭირეს,  
ქრთამი ავიღია, ვაი, შვილო!

ბინა კარგი გქონდა, სხვა იყიდე,  
ავეჩი გქონდა და სხვა იყიდე,  
ქვეყნის ხალიჩები აიკიდე,  
სახლში ხატებივით დაიკიდე.

ქურქებს ცოლს უცვლიდი პერანგივით,  
ჭუნგლების ვეფხვივით ააჭრეღე,  
მერე აგარაკიც შეიძინე  
და მერე „ვოლგაც“ გააჭენე.

„როგორ, რანაირად?“ — გკითხე, შვილო,  
და შენ კი პასუხი აიცილე,  
ხელი ჩაიქნიე ავლებულად,  
ბიჭმა იცისო და... გაიციინე.  
...ვაი, ვერ გცოდნია! ვაი, შვილო!

## ც ო ლ ის ნ ა ტ ი რ ა ლ ი ლ ო თ ქ მ ა რ ზ ე

უიმე, უიმე, რას შევესწარ!  
თვალზე არ მიწყდება ცრემლის ღვარი, —  
ღვინოში სულსა ლევს, სულს ღაფავს,  
ღვინოში თავდება ჩემი ქმარი.

ღვინოში ყელამდე ჩავარდნილა,  
იხრჩობა, იხრჩობა საცოდავი.  
ხალხო, მომხედეთ და მომეშველეთ,  
ქმარი მელუბება, ვაი, ვაი!..

დადის, დალაყუნობს გარე-გარე,  
ხიფათიანი და მარცხიანი;  
გვერდით მომიწვება და ვერ ვარჩევ,  
ტიკტორა არის თუ კაცი არი.

ხალხო, მომხედეთ და მომეშველეთ,  
იქნებ, რამე უთხრათ, შეასმინოთ,  
ღვინომ გამიგიჟა, ღვინომ ქმარი,  
ღვინომ დამიღია, შესვა ღვინომ!  
... ვაი, ბედო ჩემო! ვაი, ვაი!..

ნ ო ლ ა რ შ ა მ ა ნ ა ძ ე  
(ღვეიზი — „მ ო ღ ი ნ ა ხ ე“)



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მ თ ა ვ ა რ ი  
რ ე დ ა ქ ტ ო რ ი  
ნ ო ლ ა რ ლ ო თ ქ მ ა რ ზ ე

ს ა რ ე დ ა ქ ტ ო რ  
კ ო ლ ე ბ ი ა :

ზ . გ ო ლ ქ მ ა ძ ე  
(პ/მზ. მღვივანი),  
ს . კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი,  
ნ . მ ა ლ ა ჯ ო ნ ი ა,  
ბ . ნ ი შ ნ ი ა ნ ი ძ ე  
(მთავ. რედ.  
მოაღბილი),  
ნ . შ ვ ი ლ ი ძ ე,  
ო . ზ ე ლ ი ძ ე.

ს ა ტ ი რ ი ს ა დ ა ი უ მ ო რ ი ს  
შ უ რ ნ ა ლ ი „ნ ი ა ნ გ ი“.

თ ბ ი ლ ი ს ი, რ ო ს თ ა მ ე ლ ი ს  
პ რ ო ს კ ა მ ბ ი № 42.  
თ ბ ი ლ ი ს ი, ს ა ტ ი რ ი კ ო -  
ი ო მ ო რ ი ს ტ ი ჩ ე ს კ ი  
ჟ ო რ ნ ა ლ «ნ ი ა ნ გ ი».  
ტ ო ლ . რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ს  
99-76-69, რ ე დ . მ ო ა დ გ ე ლ ი ს  
93-49-32.  
ს ა ე რ თ ო გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ის  
93-10-78.

ს ა მ . კ ვ ც კ -ის გ ა მ ო მ გ ე მ -  
ლ ო ბ ა . ი ז დ ა ტ ე ლ ო ს ტ ვ ო  
ც კ კ პ გ რ უ ჯ ი ი .

გ ა დ ა მ ც ა ა ს ა ყ ო ბ ა დ  
25/III-71 წ.  
ხ ე ლ მ ო შ ვ ი რ ი ლ ი ა დ ა ს ა -  
ბ ა მ ლ ა დ 20/IV-71 წ.  
ტ ა ლ ა ლ დ ის ჯ ო მ ა  
70x108 1/2.  
ფ ი ზ ი კ ა ტ ო რ ი ნ ა ბ ა მ ლ ი ფ შ რ -  
ც ე ლ ი 1,  
ს ა ა ლ რ ი ც ხ მ ო -ს ა ბ ა მ ო მ გ ე -  
მ ო ლ ო თ ა ბ ა მ ბ ი 1,4.  
ს ა მ . კ ვ ც კ -ის გ ა მ ო მ გ ე მ -  
ლ ო ბ ის ს ტ ა მ ბ ა,  
თ ბ ი ლ ი ს ი, ლ ე ნ ი ნ ს ქ .  
№ 14.

ტ ი პ ო გ რ ა ფ ი ა ი ז დ -ვ ა  
ც კ კ პ გ რ უ ჯ ი ი  
გ ბ ი ლ ი ს ი, ო ლ . ლ ე ნ ი -  
ნ ა № 14

შ ა მ . № 1197.  
შ ა № 02004.  
ტ ი რ ა შ ი 128.180.



КОНТРОЛЬНЫЕ  
ЭКЗЕМПЛЯРЫ

დიდი ბრიტანეთის კონსერვატული და ლეიბორისტული პარტი-  
ები ინგლისელ მონოპოლისტთა ლაქიები.

ინგლისური მონოპოლიების  
კოლიტიკური მანქანის მოღვალი.

საქართველოს  
საბჭოთა  
ინჟინერების  
კავშირი



ნ. ა. ლაშვილის